საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge;

KA000058106834625

№ 01-89-R **13 / მაისი / 2025 წ.**

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ეთნომოსიკოლოგიისა და კომპოზიციის მიმართულებებზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 32-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების, 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის "ა", "ბ", „ნ“ და "ო" ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, 26-ე, 27-ე და 28 -ე მუხლების, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 06 მაისის #10/2025 დადგენილების - "სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 13 მაისის #02/2025 წლის დადგენილებით), კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 მაისის #56/2021 დადგენილების „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური თანამდებობის დაკავების საკონკურსო ვადების განსაზღვრის შესახებ“ (დამტკიცებულია კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 20 მაისის № 19/2021 დადგენილებით) და კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 13 მაისის #279 მოხსენებითი ბარათის (თან ერთვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი #04; 13.05.2025 წ.) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს კონკურსი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ეთნომოსიკოლოგიისა და კომპოზიციის მიმართულებებზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად.

2. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 16 ივნისიდან 2025 წლის 20 ივნისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი

კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს წარედგინოს არაუგვიანეს 2025 წლის 07 ივლისისა.

3. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცების ვადად განისაზღვრო ს არაუგვიანეს 2025 წლის 14 ივლისისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ეთნომოსიკოლოგიისა და კომპოზიციის მიმართულებებზე შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

4.1. მუსიკის ისტორიის მიმართულებაზე:

ა) პროფესორი - 1 (ერთი) ადგილი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - 3 (სამი) ადგილი.

4.2. მუსიკის თეორიის მიმართულებაზე:

ა) პროფესორი - 1 (ერთი) ადგილი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - 2 (ორი) ადგილი.

4.3. ეთნომოსიკოლოგიის მიმართულებაზე:

ა) პროფესორი - 1 (ერთი) ადგილი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) ადგილი.

4.4. კომპოზიციის მიმართულებაზე:

ა) პროფესორი - 1 (ერთი) ადგილი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - 2 (ორი) ადგილი;

გ) ასისტენტ პროფესორი (მუსიკის ტექნოლოგია) -1 (ერთი ადგილი).

5. **მუსიკოლოგიის მიმართულებებზე** (მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მუსიკისმცოდნეობის განვითარებაში, აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით პროფესორად ან ასოცირებულ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით ასოცირებულ ან ასისტენტ-პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

კომპოზიციის მიმართულებაზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებეული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ან/და პირი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარებაში და აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით პროფესორად ან ასოცირებულ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან/და პირი, რომელსაც წვლილი აქვს შეტანილი პროფესიული კადრების მომზადებასა და საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარებაში და აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით ასოცირებულ ან ასისტენტ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება.

კომპოზიციის მიმართულებაზე **(სპეციალობა მუსიკის ტექნოლოგია)** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულებით/სპეციალობით სამეცნიერო-შემოქმედებითი ან/და პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება.

6. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:

6.1. კონკურსანტის განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე, დადგენილი ფორმის მიხედვით;

6.2. კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით;

6.3. პირადობის მოწმობის ასლი;

6.4. 1 (ერთი) ფოტოსურათი (ზომა: 3x4 სმ);

6.5. ცნობა ნასამართლეობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება);

6.6. ბოლო სამსახურებრივი პოზიციის (აკადემიური თანამდებობა/მოწვეული მასწავლებელი) დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შესაბამისი უწყების მიერ;

6.7. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის/ების) ასლი/ები;

6.8. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ს/ების) ასლი/ები და მათი აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

6.9. სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა /შრომის წიგნაკის ასლი და სხვა);

6.10. დოქტორის ან მასთან გათანაბრ ებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

6.11. უცხო ქვეყანაში მიღებული სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

6.12. მხოლოდ ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებაზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეთათვის - პროფილის შესაბამისი შემსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ცნობა ორგანიზატორი დაწესებულებიდან ექსპედიციის ჩატარებისა და საექსპედიციო მასალების არსებობის შესახებ;

6.13. ჯილდოების, პრემიების, სტიპენდიების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

6.14.„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურემ (გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა და პოლიტიკური თანამდებობის პირისა), ასევე საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო, რელიგიური და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა), შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა, გამოცხადებულ კონკურში მონაწილეობის მისაღებად, დამატებით უნდა წარმოადგინოს აკადემიური თანამდებობის დაკავებისთვის შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ კონკრეტული საქმიანობის შესაბამისი ვადით გაცემული წერილობითი თანხმობა.

7. წინამდებარე ბრძანების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით (ჩაწერილი CD/ფლეშ მეხსიერებაზე);

8. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2025 წლის 16 ივნისიდან 2025 წლის 20 ივნისის ჩათვლით, 10.00-დან 18.00 საათამდე (შესვენება 13.00-დან - 14.00-მდე) კონსერვატორიის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. No8-10, ოთახი No216, ელექტრონული მისამართი: konkursi@tsc.edu.ge);

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „რეზონანსი“, განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge და კონსერვატორიის ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

10. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, No64).
11.ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

გიორგი ვაჩნაძე